

სპორტიელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საორტული გაზეთი

ხუთშაბათი 3 დეკემბერი 1999 №232 (1005)

ფასი 50 თეთრი

3 დეპუტრამ სამოთხეში

ქართველი თავდამსხმელი
დღეს ალბათ კიევის
„დინამოში“ ჩაირიცხება


6 ყველაზე დიდი კენჭისყრა

7 დეკემბერს
2002 წლის
მსოფლიოს
ჩემპიონატის
შესარჩევი ეტაპის
კენჭისყრაში სარეკორდო,
194 ქვეყნის ეროვნული
ნაკრები მიიღებს
მონაწილეობას



2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

8 რომარიოს ორი კურდღელი



ბებერი ბრაზილიელი
მსოფლიოს საკლუბო
ჩემპიონატზე ითამაშებს

ქართულ-ბალკანური ზაპი ბათუმში

გუშინ ბათუმში, მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეოთხე ტურში, საქართველოს ქალთა პირველი ნაკრები ლიდერ იუგოსლავიას შეხვდა. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურები სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცევიდნენ, მაგრამ არც იუგოსლავიელები აპირებდნენ დანებებას. საბოლოოდ მეტოქეები ერთმანეთს დაუზავდნენ და მატჩიც ფრედ 1:1 დასრულდა.
ქართველთა მეორე გუნდიც მშვიდობიანად გაეყარა ბულგარელებს. მესამე ნაკრებმა კი პორტუგალია 2:0 დაამარცხა.
გამარჯვება საქართველოს ვაჟთა მეორე გუნდსაც რომელმაც 2,5:1,5 საფრანგეთს სძლია. პირველმა ნაკრებმა კი ხორვატებთან ფრედ 2:2 ითამაშა.



„სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრ ფილიმონოვი ლიდელ მაიკლ ბრიჯის თავს სწირავს

REUTERS სოფიიდან

სოფიის „გეორგი ასპარუხოვზე“ უფას თასის მესამე ეტაპის ნინა კვირიდან გადმოტანილ შეხვედრაში ფსევდონამსპინძელმა, რუსეთის ჩემპიონმა, „სპარტაკმა“ პრემიერლიგის ლიდერს, „ლიდს იუნაიტედს“ 2:1 მოუგო. მატჩი, რომელიც მოსკოვურმა ზამთარმა ბულგარეთის დედაქალაქს გადაულოცა, სანახაობრივად ერთობ უფარვსი გამოდგა, მაგრამ ტრიბუნებზე შეკრებილმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა მაინც იხილა სამი გოლი.
პირველად, მე-13 წუთზე ინგლისური გუნდის ავსტრალიელმა თავდამსხმელმა, პარი კიუელმა შეაგდო. ამაში მას ილბალი, უფრო სწორედ კი დმიტრი ხლესტოვის უხეში შეცდომა დაეხმარა, მაგრამ შესვენებამდე რვა წუთით ადრე კუთხურიდან ჩანო-დებულ ბურთს ლიდსელებმა ვერაფერი მოუხერხეს, ხოლო ალექსანდ შირკომ ახლო კუთხეში შეაგდო.
გამარჯვების და შეხვედრის ბოლო გოლი მეორე ტაიმის მე-20 წუთზე გავიდა, მას მერე, რაც უკიდურესად სპარტაკული კომბინაციის ბოლოს ბრაზილიელმა რობსონმა ინგლისის ნაკრების მეორე მეკარის, ნაიჯელ მარტინის კარი ახლოდან, მარტივი დარტყმით დალაშქრა.
„მეორე ტაიმში კარგად ვერ ვითამაშეთ, ამიტომაც შედეგი ერთობ მისაღებად მიმაჩნია. ასეთ პირობებში და სასურველ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფის გარეშე, ვგონებ, ურიგოდ არ ვჩანდით. ეჭვი არ მეპარება, რომ ერთი კვირის შემდეგ, საპასუხო შეხვედრაში, ჩვენ ვაცილებით ძლიერი ვიქნებით“ — თქვა მატჩის შემდეგ „ლიდსის“ მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ.

ძოძუაშვილი არაბულ კოშმარს იზინჯავს და საქართველოს ნაკრებზე ფიქრობს



რევაზ ძოძუაშვილი

— კოსმოსიდან ჩამოსული ვარ. სად ვიყავი, რა მინდოდა — გვითხრა გუშინ დილით საულის არაბეთიდან თბილისში დაბრუნებულმა რევაზ ძოძუაშვილმა. იგი არაბებს საბოლოოდ დაშორდა, ამბობს, საუდეთში დაბრუნებული ცოცხალი თავით აღარ ვარო.
სამწუხაროდ, ვრცლად სასაუბროდ ძოძუაშვილი გუშინვე ვერ მოვიხეტეთ, იგი კარგა ხნის უნახავ მშობლებთან მოსანახულებლად მიიჩქაროდა, ხელახალ შეხვედრას უახლოეს მომავალში დაგვირბა.
— ახლა ხუთიოდ დღეს დავისვენებ, მინდა დავივიწყო არაბული კოშმარი. მერე ვნახოთ, სამუშაოდ რამდენიმე ვარიანტი მაქვს, რომელთაგან ყველაზე რეალური ისევ რიგაში დაბრუნება მგონია. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გიუნტის ინდრიკსონი ყოველდღე მირეკავს, აუცილებლად ჩამოდიო, მეუბნება. ისე, საქართველოშიც მთავაზობენ რამდენიმე კლუბის გაწვრთნას, არ გამოვიცხავ, ეროვნულ გუნდსაც დაუბრუნდე — განვიცხავა აწ უკვე თავისუფალმა მწვრთნელმა.
კობა ინასარიძე

ქართველები ასალ სატრანსფერო მარშრუტში:

ვლადიკავკაზი — ბიეზო — მილანი

თანამშრომლობას კიევის „დინამოს“ და ვლადიკავკაზის „ალანია“ შორის, რომელსაც წინა კვირას კიევი „ალანია“ გენერალური დირექტორის — ბითაროვის სტუმრობისას ჩაეყარა საფუძველი, პირველი გარიგება მოჰყვა.

იგი წმინდა ქართულ ხასიათს ატარებს. გუშინწინ თბილისიდან ვლადიკავკაზში დაბრუნებულმა „ალანია“ ახალმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა იმ სამი ფეხბურთელის ვინაობა გაამჟღავნა, რომლებიც ახალ სეზონში გააძლიერებენ კლუბს. როგორც მოსალოდნელი იყო, სამივე მოთამაშე ქართველია. გუცაევი პირადად ესუბრა მათ და წინასწარი თანხმობაც მიიღო. ესენი არიან: საქართველოს წლევეანდელი პირველობის ერთ-ერთი ლიდერი — თბილისის „დინამოს“ წამყვანი ფეხბურთელი რატი ალექსიძე და მიხეილ აშვეთია. საინტერესოა, რომ ორივე ლიდერობს ბომბარდირთა წლევეანდელ დავაში. მესამე ქართველი კი რიგის „სკონტოს“ მცველი ლევან სილაგაძეა, მას ლატვიურ კლუბთან დაუმთავრდა კონტრაქტი და რეგულარულად მუშაობს დახმარებით ისიც გუცაევის გუნდში აგრძელებს კარიერას.

რაც შეეხება გარიგებას, საქმე ისაა, რომ ალექსიძესა და აშვეთიას სერიოზულად აკვირდებოდა კიევის „დინამო“ ლობანოვსკის სკაუტებმა ისინი საქართველოს ჩემპიონატის ორ მატჩზეც მონაზღაურეს. თავის მხრივ კი, როგორც ცნობილია, ვლადიმერ ლობანოვსკი და „დინამოს“ პრეზიდენტი გრიგორი სურკისი მეორე კვირას, უშედეგოდ ევაჭრებიან „ალანია“ ქართველი ფორვარდის, გიორგი დემეტრაძის თაობაზე. ამ ტრანსფერზე კვლავ მუშაობს „ალანია“ წასული ვლადიმერ გუცაევი. მან აუცილებლად უნდა დაფაროს მისი მწვრთნელობისას „ალანია“ ბიუჯეტისადმი მიყენებული ზარალი — 4,5 მილიონი დოლარი. „ალანია“ დემეტრაძეში ცოტა მეტს — 5-5,5 მილიონ დოლარს ითხოვს. კიევი კი მხოლოდ 2,5-3 მილიონის გადახდაზეა ყაბულს.

დაპყრობები კიევიში აცხადებენ, რომ გუცაევის მანერა, თბილისის „დინამოდან“ აშვეთია და ალექსიძე წაიყვანოს, სწორედ დემეტრაძის ტრანსფერის ჭრილში უნდა განვიხილოთ. კიევი ამ ეტაპზე უარს ამბობს ქართული დუეტის აყვანაზე, სამაგიეროდ, „ალანია“ ამცირებს გიორგი დემეტრაძის ფასს.

არ არის გამორიცხული, რომ აშვეთია და ალექსიძე, თუ თავი გამოიჩინეს, მაინც აღმოჩნდნენ კიევის „დინამოში“. ხელშეკრულება, რომელსაც სურკისმა და ბითაროვმა მოაწერეს ხე-

ლი, სწორედ ამგვარ თანამშრომლობას გულისხმობს. ფაქტობრივად, „ალანიაში“ ეგრეთ წოდებული მესამე ქვეყნიდან ფეხბურთელების შემოწმებისა და გაზრდის ფუნქცია იტვირთა, რომლებსაც შემდეგ გაცილებით ძვირად მიჰყიდის კიევის „დინამოს“. ამ უკანასკნელს კი ანალოგიური თანამშრომლობის ხელშეკრულება იტალიის „მილანთან“ აკავშირებს.

რამდენად მიმზიდველი შეიძლება იყოს ქართული ფეხბურთის ადგილი ამ ვაკეში? ბუნებრივია, ამაზე ერთი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. რა თქმა უნდა, ჩვენთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუ კიევის „დინამო“ ასეთ ხელშეკრულებას უშუალოდ ქართულ კლუბთან (ან კლუბებთან) გააფორმებდა. ამ შემთხვევაში ჩვენს საკლუბო ფეხბურთში დიდი ფული მოვიდოდა და ჩემპიონატიც მოძლიერდებოდა.

წარმოდგინეთ, რევიშვილის, ცხადაძის, შელიას, გრიშკაშვილის, ვახოკიძის, ჯამარაულის, ჩხაიძის, ყაველაშვილის, აშვეთიას, წერეთლის, დემეტრაძის, კობიაშვილის და ჭიჭვიშვილის ტრანსფერებიდან შემოსული ფული „ალანიაში“ ნაცვლად ქართულ კლუბებს რომ შემოსვლიდათ. თუმცა აღნიშნული ფეხბურთელები ძლიერმა კლუბებმა სწორედ „ალანიაში“ შეამჩნიეს და არა, ვთქვათ, „დინამოში“ ან ფოთის „კოლხეთში“. დასკვნა ერთია: ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების ღირსისა და შესაძლებლობების განსაზღვრა ძალიან რთულია და დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამიტომაც იგივე კიევის „დინამოს“ უფრო ურჩევნია, მათ „ალანია“ — მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩში დააკვირდეს, ვიდრე თბილისის „დინამო“ — ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრაში.

ერთი სიტყვით, სანამ ასეთი ჩემპიონატი გვექნება, ნამდვილად ჯობს, ქართველი ტალანტები ამ სატრანსფერო კორიდორის გავლით გავიდნენ მსოფლიოს ბაზარზე. ამ სკოლების გავლით ისინი გაცილებით უკეთ გამოადგებიან საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

აშვეთია — ალექსიძე — სილაგაძის „ალანიაში“ გადასვლით ვლადიკავკაზურ კლუბში ნათამაშევი ქართველების რიცხვმა 14-ს მიაღწია. აშვეთია მეორედ მიდის „ალანიაში“. 1997 წელს მან 18 შეხვედრა გამართა რუსეთის ჩემპიონატში და 5 გოლის გატანაც მოასწრო. თანხა, რომელსაც თბილისის „დინამო“ მიიღებს ამ ტრანსფერებიდან, ჯერჯერობით უცნობია. „ალანია“ ასევე არ ამხელს, რამდენს უნდის რიგის „სკონტოს“ ლევან სილაგაძეში.

სიმონ მინაბაძე

შელიამ გერმანიაში ოპერაცია გაიკეთა

გუშინ „დელო მირორმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ პირველი დივიზიონის ლიდერი „მანჩესტერ სიტი“ აპირებს, ოფიციალურად გაწყვიტოს კონტრაქტი 31 წლის ქართველ ვეტერან მურთაზ შელიასთან.

შელია 1997 წელს ვლადიკავკაზის „ალანიაში“ „სიტიმ“ 400000 გირვანქად იყიდა, თუმცა მურთაზმა მუდმივი ტრანსფერის გამო მხოლოდ 15-ჯერ ითამაშა კლუბის ძირითადში.

სეზონის დასაწყისში მან „სიტის“ პრეზიდენტ ბერნშტეინთან და მენეჯერ როლითან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა, კლუბი დაეტოვებინა. თუმცა კონტრაქტი არ გაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ შელია ინგლისში აღარ ჩასულა.

გუშინ როლიმა „მირორს“ განუცხადა, შელიამ ახლანაირად გერმანიაში ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ჩვენ მასთან კონტრაქტს ალბათ შევწყვეტთ.

შეგახსენებთ, რომ საუბარი იყო შე-

ლიას შვეიცარიის რომელიმე გუნდში ან თურქულ „ტრაბზონსპორში“ გადასვლის თაობაზე. თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა. მისი განაცხადში შეყვანა თბილისის „დელომოდისსაც“ სურდა, მაგრამ ვერც ეს ტრანსფერი განხორციელდა.

იგივე სიტუაცია „სიტის“ მეორე ქართველ ვეტერან კახა ცხადაძესთან დაკავშირებით. იგი შარშან აგვისტოში „ფულემთან“ მატჩისას დაშავდა. შემდეგ 16 თვე მკურნალობდა. კახამ გერმანიაში ორი ურთულესი ოპერაცია გაიკეთა, ინგლისში დაბრუნდა კიდევ, მაგრამ „სიტის“ სარეზერვო გუნდში პირველივე თამაშისას ისევ მძიმედ დაშავდა და მერე მის შესახებ არაფერი გვსმენია.

„მირორი“ ვარაუდობს, რომ ცხადაძე და შელია ძალიან დაასრულებენ კარიერას.

სიმონ მინაბაძე



მიხეილ აშვეთია „არსენალის“ კარში თავურს ურტყამს

გადრი კამერალაქის ფოტო

გუსაევი დინამოს არ ივინჯებს ალანია სამ ქართველს ელის

ვლადიკავკაზის „ალანიაში“ შესაძლოა კიდევ სამმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშოს.

გუშინ „ალანია“ ახალმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა გვითხრა, რომ დიდი სურვილი აქვს, თავის გუნდში გადაიბიროს თბილისის „დინამოს“ ორი ლიდერი — რატი ალექსიძე და მიხეილ აშვეთია, ასევე რიგის „სკონტოს“ მცველი ლევან სილაგაძე, რომელსაც ლატვიელებთან კონ-

ტრაქტი დაუმთავრდა.

მწვრთნელის თქმით, სამივე ფეხბურთელი ყაბულსაა, „ალანიაში“ ითამაშოს, არც „დინამოს“ ხელმძღვანელობას აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გასარკვევი მხოლოდ სატრანსფერო თანხის რაოდენობაა. ჯერ უცნობია, რამდენს ითხოვს „დინამო“ ალექსიძისა და აშვეთიას სანაცვლოდ. ყოველ შემთხვევაში, გუცაევსა და „ალანია“ უფროსობას დიდი იმედია აქვთ,

რომ საქართველოს ჩემპიონები ფეხბურთელებს უსაშველოდ ძვირს არ დააფასებენ. ლევან სილაგაძის „სკონტოს“ კი, „დინამოსგან“ განსხვავებით, „ალანიასგან“ მხოლოდ საკომპენსაციო თანხა ერგება, რის რაოდენობაც ასევე გაურკვეველია. ყველაფერს უახლოეს დღეებში დაიანგარიშებენ ლატვიელები.

თავად ფეხბურთელები ჯერჯერობით კონკრეტულს არაფერს ამბობენ. „რაც თქვენ შეიტყვებთ, ჩვენც ის ვიცით — გვითხრეს — „ალანია“ მართლაც გვეპატივება“.

ქართველების გარდა ვლადიმერ გუცაევს თავის გუნდისთვის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი შეუვლდება, თუმცა კი მათი ვინაობა არ გაგვიჩინა. „ალანია“ ახალი სეზონისათვის მზადებას ბედობა დღეს, 2 იანვარს ვლადიკავკაზში შეუდგება. ამ დროისთვის ვლადიკავკაზელთა ყველა ახალწვეულის გვარი ცნობილი იქნება.

შეგახსენებთ, მიხეილ აშვეთიას „ალანიაში“ უკვე უთამაშია, 1997 წელს 18 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

კობა ინასარიძე



დინამოელმა რატი ალექსიძემ ბათუმელ კახა თედორაძეს (№6) საპაერო ბრძოლა მოუგო

გადრი კამერალაქის ფოტო



ჯაკობია სტანდარტში მძვინვარეობს ქართული პეზონაჟი გაანათხოვრას

კარგა ხანია, ვლადიკავკაზის „ალანიადან“ გიორგი დემეტრაძის კიევის „დინამოში“ გადასვლაზეა ლაპარაკი. უკრაინელებს დიდი სურვილი აქვთ, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი თავიანთ კლუბში იხილონ. შეტად მონდომებულებიც არიან — გიორგის კიევში ჩასვლა სთხოვეს და ვლადიკავკაზელებთან ინტენსიური მოლაპარაკებაც გააბეს. ვადაწყვეტილი კი ჯერაც ვერაფერი გადაუწყვეტიათ. კიეველებს ის თანხა ეძიებოდათ, „ალანიას“ ხელმძღვანელებმა ჩვენებურის სანაცვლოდ რომ მოითხოვეს.

გიორგი დემეტრაძეც ელის საბოლოო სიტყვას, „დინამოსა“ და „ალანიას“ შეთანხმებას. თითქმის ორი კვირაა, კიევშია, მისი საცხოვრებელიც კიევეური კლუბის მესვეურთ კაი სამხედრო ობიექტით აქვთ გასაიდუმლოებული. ერთმა ისიც თქვა, კიეველების ჩვევაა, სანამ ფეხბურთელს კონტრაქტზე ხელს არ მოაწერებენ, მასთან არავინ დაგაკავშირებს, არაფერს გეტყვიანო.

ერთ-ორ განცხადებას თუ გააკეთებდა „დინამოს“ რომელიმე წარმომადგენელი და მორჩა. ყველაფერი კი სავარაუდოდ დღეს საღამოს უნდა დამთავრდეს. დიდი შანსია, ხვალინდელმა „სარბიელმა“ გაუწყლოთ, რომ დემეტრაძემ კიევის „დინამოსთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა. ამის თაობაზე თავად გიორგიმ გვითხრა, როცა წუხელ კიევში დაუკავშირდით, სასტუმროში.



გიორგი დემეტრაძე: თავი სამოთხეში გგონია! ქართველმა თავდასხმელმა კიეველებთან კონტრაქტი დღეს უნდა გააფორმოს

— „ალანიას“ ხელმძღვანელები კიევში ხვალ ჩამოდიან, მათ „დინამოს“ პრეზიდენტ სურკისთან საბოლოოდ უნდა მოლაპარაკონ. აქამდე ვერა და ვერ შეთანხმდნენ. „ალანია“ თავისას ამბობს, „დინამო“ ევაჭრება.

— ზუსტად გვითხარი, რამდენ ხანსაა ლაპარაკი?

— არ ვიცი, ტრანსფერის თანხაზე მე არავინ არაფერს მეუბნება. ფაქტი ისაა, რომ „ალანია“ ბევრს ითხოვს. სურკისსა და „დინამოს“ ეს თანხა ეძიებოდათ და საქმეც ამიტომ გაჭინანურდა ამდენ ხანს.

— იმედი გაქვს, რომ თანხაზე ხვალ შეთანხმდებიან?

— ასე მითხრეს. „დინამოსთან“ კონტრაქტს ალბათ ხვალვე გააფორმებ, უკვე 90 პროცენტით კიევის დინამოელი ვარ. სასწაული უნდა თქვან ვლადიკავკაზელებმა, ტრანსფერი რომ აღარ შედგეს.

— სურკისს თავად თუ ელაპარაკე?

— რამდენჯერმე. მას და ვალერი ლობანოვსკის ხშირად ვხვდები. ისინი მარწმუნებდნენ, რომ მალე ყველაფერს მოგვარებდნენ. ვლადიკავკაზელების ჩამოსვლის ამბავიც სურკისმა მითხრა.

— ლობანოვსკი რას გეუბნება?

— ყოველთვის გულბოილად მხედება. ზუსტად შენაირი ფეხბურთელი მჭირდება, ჩემპიონთა ლიგაში უნდა დაგვეხმაროს, თავდასხმაში გვიჭიროს, ათასჯერ მითხრა. რა ვიცი, მეც იმედი მაქვს, „დინამოს“ გამოვადგები.

— ხვალ რომ გააფორმო კონტრაქტი, ლიგაში როდის ითამაშებ?

— „ბაიერთან“ 7 დეკემბერს ვერა და მერე კი ნაღდად. ახლა, უახლოესი მატჩისთვის ჩემი ლიგის განაცხადში შეყვანა არ ესწრება.

— მომავალი თანაგუნდელები უკვე გაიცანი?

— რამდენიმე. ისე, რა პრობლემა ეგაა. ჩანს, რომ „დინამო“ ძალიან მეგობრული გუნდია, კახა კალაძეც ამას ამბობს. ვისაც არ ვიცნობ, გავიცნობ, სად წავლენ.

— კიეველებთან პირობებზე შეთანხმებული თუ ხარ?

— არც ეგაა პრობლემა. ვარიანტი არ არის, კიეველებმა სიტყვა გატეხონ. მართალია, ჯერ კონკრეტულად არაფერი გვითქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილოს არ დამტოვებენ.

— სათამაშო ტაქტიკაზე თუ

გისაუბრია მწვრთნელთან?

— ლობანოვსკიმ ამისხნა, როგორი სისტემით თამაშობს გუნდი. ალბათ, შესაბამის ადგილსაც გამოიმინახავს.

— მართალია, თითქოს „დინამო“ რებროვს ჰყიდის და შენი შექენაც ამიტომ გადაუწყვეტიათ?

— ჯერჯერობით რებროვი გუნდშია და ვარჯიშობს კიდევ. ფეხბურთელების გაყიდვაზე სურკისს სიტყვაც არ დასცდენია, ეგ კი არა, მეონი, აქეთ აპირებენ რამდენიმე ფეხბურთელის შექენას.

— ფიზიკურად ხომ არ გიჭირს, ლობანოვსკის სავარჯიშო მეთოდს როგორ ეგუები?

— ვარჯიშით ჯერ ერთხელ ვივარჯიშე. ახლა ვისვენებ, გადამალა რუსეთის ჩემპიონატმა.

— ის მართალია, თითქოს სურკისმა თავის აპარტამენტი დაგითმო?

— ეგრა. რაც ვინდა, ყველაფერია, თავი სამოთხეში გგონია. დიდ პატივში ვარ და ვეცდები, სურკისს გაუპართლო, ასევე „დინამოს“ ქმარებს და, რაღა თქმა უნდა, ქართველებს... ხომ ვიცი, საქართველოში კიევის „დინამოს“ რამდენი გულშემატკივრობს.

კობა ინასარიძე

ლაშა ჯაკობია კვლავაც სტანდარტშია, მაგრამ ამ გუნდთან უახლოესი ექვსი თვე არაფერი ესაქმება.

ბელგიის მეორე დივიზიონში არის ასეთი გუნდი „ვეზტა“ (ამ გუნდის სახელს კიდევ ოთხნაირად მოიხსენიებენ, მაგრამ ხუთი დასახელებიდან უფრო გავრცელებული „ვეზტა“ და ჩვენც ასე ვუწოდოთ), რომელიც ისეთ დღეშია, მტერს არ უსურვებს კაცი. თავად განსაჯეთ, ამ გუნდს მეორე დივიზიონის ჩემპიონატში 14 თამაშიდან მხოლოდ ორი ქულა აქვს აღებული და, რაღა თქმა უნდა, მ-გუნდიან პირველობაში ბოლო საფეხურზე იმყოფება. სწორედ ამ გუნდში გადავიდა ლაშა ჯაკობია. საიდან სადო, იკითხავთ და მართალიც იქნებით. საქმიანობა, რომ „სტანდარტი“ და „ვეზტა“ აქტიურად თანამშრომლობენ და მათ შორის ერთგვარი კონტრაქტიც ყოფილა გაფორმებული, რის საფუძველზეც „სტანდარტს“ გადაუწყვეტია, დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში ჩავარდნილ პარტნიორს. ლიეველთა გადაწყვეტილებას საქმეც მოჰყოლია და რამდენიმე დღის წინ „სტანდარტიდან“ შეიძინა ფეხბურთელი აბარგებულა ჩამირული „ვეზტის“ გადასარჩენად. მათ შორისაა ლაშა ჯაკობიაც, რომელსაც გუნდს ბელგიაში დაუკავშირდით.

— „სტანდარტი“ ექვსი თვით გამანათხოვრა „ვეზტში“, მაგრამ უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ხელფასს ისევე „სტანდარტიდან“ ავიღებ და, რაც მთავარია, თამაშის შესაძლებლობა მომიცემა. „ვეზტში“, რა თქმა უნდა, ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარი პრაქტიკის მიღებაა, თანაც ისიც მნიშვნელოვანია, რამდენად შევძლებთ, პრაქტიკულად უიმედო მდგომარეობაში მყოფი გუნდის გადარჩენას. ჩემთან ერთად ექვსი ფეხბურთელი (აქედან ხუთი ბელგიელია) გადავიდა „სტანდარტიდან“ „ვეზტში“ და თუ ჩვენ ამ გუნდს

მეორე ლიგაში ადგილი შევუნარჩუნებთ, ეს გარკვეულ მიღწევად ჩაგვეთვლება და იქნებ ამან ერთგვარი რეკლამაც გაგვიწიოს. ახალი კლუბის შემადგენლობაში ერთი მატჩი ჩავატარე. ამხანაგური შეხვედრა იყო, მესამე ლიგის გუნდს „კერეს“ შევხვდით, 3:0 გავიმარჯვეთ და ერთი გოლი მეც შევაგდე.

— ლაშა, ამას წინათ საუბარი იყო შენს „ლომელში“ გადასვლაზე...

— „ლომელს“ მართლაც ძალიან სურდა, იქ გადასვლიყავო და ამ მხრივ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. ლიეველებთან, მაგრამ მათ ჩემი ყიდვა სურდათ, „სტანდარტი“ კი მხოლოდ განათხოვრებაზე იყო თანახმა, გაყიდვით კი არ გაჰყავდა და ეს საქმეც ამით მომთავრდა.

— „ვეზტის“ შემადგენლობაში ოფიციალურ შეხვედრაში როდის ითამაშებ?

— შაბათს. კალენდარული მატჩი გვაქვს. მათე ადვილზე მყოფ „დინამოს“ ვმასპინძლობთ. ეს გუნდი პირველ დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის და ალბათ ერთობ გაგვიჭირდება მათი წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ ვნახოთ, რა გამოვა...

„ვეზტმა“ მეორე დივიზიონის ბოლო ტურში „მოლენბეკს“ უმასპინძლა. ქართველთათვის ცნობილი ბოსკაპის ყოფილ გუნდში თავის დროზე ზახარევიშვილსაც უთამაშია. „მოლენბეკმა“ უპრობლემოდ დაამარცხა მასპინძლები. ვეზტელი ვინმე მიხელსის 76-ე წუთზე გატანილი გოლი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან მანამდე სტუმრებმა სამჯერ აიღეს მეტოქის კარი...

მოუგებელი „ვეზტის“ ბოლო ადგილზეა. მეორე დივიზიონის პირველობის დასრულებამდე კი 20 ტური რჩება. სინტერესოა, შეძლებს ჯაკობია და კომპანია ამ გუნდის გადარჩენას?

ბატა კვანტალიანი



ლაშა ჯაკობია

ჯერ წილი, მერე მწვრთნელი

7 დეკემბერს ტოკიოში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრას საქართველოდან სამი დაცხრებიან — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია.

ჟორდანიას თბილისიდან რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა. იგი ტოკიოში მოსკოვში შეყოვნდა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვაჩესლავ კოლოსკოვთან შესახვედრად.

რა თემაზე ისაუბრა ორმა შეფმა, ჯერჯერობით უცნობია. ჟორდანიას გუნდს ვალერი ჩოლარია ჩააკითხა, ალექსანდრე ჩივაძე კი თბილისიდან ხვალ გაემგზავრება.

ტოკიოს სამივენი 6 დეკემბერს ესტუმრებიან... ნაკრების მწვრთნელის გარეშე, როგორც შევეტყვეთ, ეროვნული გუნდის თავკაცს კენჭისყრიდან დაახლოებით ათ დღეში დაინიშნავენ. ვის? უცნობია.

კობა ინასარიძე

ვაგროვებ თბილისის „დინამოს“ პროგრამებს: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე (1936-1980 წლები), საბჭოთა კავშირის თასზე, ევროთასების გასვლითი მატჩებზე. ვაგროვებ საქართველოს ნაკრების შეხვედრების პროგრამებსაც.

ტ: 67-09-31, იკითხეთ ზაური



სპორტი სივრცეში

112 შეხვედრაში გატანილი 286 გოლი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,55), ამდენზე თამაშს დასრულებული 147 600 ვულშემბატვიარი (საშუალოდ მატჩზე 1 326), ჩემპიონატს მომსახურე 16 მსაჯი და 15 დელეგატი, 335 გაფრთხილება და 26 ვადევაბა — აი, ის სტატისტიკური მონაცემები რაც მეთერთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე დაფიქსირდა



მასპაპ დარჩინას ფოტო

პირველი ეტაპის ლიდერის და ყველაზე კორექტული გუნდის ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები (თეთრ მაისურებში) სამტრედიის „იბერიას“ კარს უტევენ

პირველი ეტაპის ყველაზე კორექტული გუნდები

დინამო 38 12 აშვეთია ალექსიძე 7 წიტიშვილი 2 ანაბაძე 1 ვ. გვიგიაძე ზირაქიშვილი ვაშაქიძე გ. შენგელია სიჭინავა	საჯაია ყიფიანი ხართიშვილი ჭანკოტაძე კოლხეთი 19 4 ლაღანიძე შალამბერიძე 2 ბულუხია დ. გოგოლაძე ტრაპაიძე ტორჩინავა ხუჭუა 1 ე. გვახალია	მერანი 14 3 ბ. ამბიძე დევიძე თოლორდავა 2 ბაჯელიძე დავითაშვილი 1 ჰ. ლურსმანაშვილი
ტორპედო 33 11 იონანიძე 7 მეგრულაძე 4 დ. ჯანაშია 2 გოგიაშვილი იმედაძე კვეტეხაძე ხვადაგიანი 1 ახვლედიანი მ. ბობოხიძე ვაჩიბერაძე	დილა 19 5 ზ. ზორგუაშვილი 3 ლომიძე სულთანიშვილი 2 არუთინიანი მარდიშვილი თაყაძე 1 ციციშვილი ზ. აიანიძი „ხოზი“ (ს.კ.)	სიონი 13 3 დ. გოდერძიშვილი დათუაძე შაკიაშვილი 2 მოსეშვილი 1 მ. გოგოლაძე მ. სამხარაძე
თბილისი 21 6 ლ. მეღვინაძე 5 გ. მიქაძე 4 კვარაცხელია 3 ვ. ვაგუა 1 ბურღული ისიანი რუხაძე	გორაკი 17 6 ვ. კილაშვილი 4 ლ. ალადაშვილი ინასარიძე 3 კიტეიშვილი	ოსუ 13 4 გ. ადამია გ. გვახავა 2 წუწუნავა 1 ახალაძე დეკანოზიძე ნინუა
ლოკომოტივი 21 9 ქებაძე 5 რუსია 2 ჩოხიძე 1 ამაშუკელი ბაქრაძე გოგიანიშვილი ლ. მიქაძე ჩიხრაძე	ბათუმი 15 4 აფხაზავა ა. მუჯირი 3 მაჭუტაძე 1 გადელია რომანაძე გ. ქორიძე კობიძე	არსენალი 10 4 გონაროვი 3 კაკაშვილი 1 თარგამაძე ტარიელაშვილი ხოსროშვილი
ვიტ ჯორჯია 20 8 ვ. ქორიძე 4 რ. გოციონიძე 2 ლ. ნოზაძე 1 დ. დოლიძე მაზიაშვილი	სოზი 15 5 ვ. ჩიტია 3 ჭიჭინაძე 2 დ. დანელია ხურცილავა 1 თორია კეკელიძე	თბილისი 9 3 გვეგოძე 1 აღეშვილი ევეჩიანი მუშლაძე გ. ლურსმანაშვილი ზ. მეტრეველი ხმალაძე
		სამგურალი 9 3 ძოჭუაშვილი 2 კონხეიძე ი. ხაჭაპურიძე 1 სუხიაშვილი ლონაძე

უდისტრიქციონი

ხოზი — გაერთიანებული (30): ვ. ჩიტია (5), ზურაბ აიანიძი (3), ზაზა აიანიძი (3), ალანია (3), კვეციანი (3), ნიჭაბერიძე (3), იონანი (2), ჭიჭინაძე (2), ლ. ბუკია, ბაბუაძე, გედენიძე, თორია, ხურცილავა; ბაძეშვილი (3); ზურაბ აიანიძი, თორია, იონანი

ოსუ — გაერთიანებული (29): კვიციანი (6), ნინუა (4), ურბე (4), დ. არჩვაძე (3), თ. ბოკერია (2), სვანაძე (2), წუწუნავა (2), გ. გვახავა (2), ახალაძე, დეკანოზიძე, ინჯიკიშვილი, მესხი; ბაძეშვილი (1): ახალაძე

თბილისი — გაერთიანებული (27): ბაძეშვილი (4), ვალერი ვაგუა (3), რუხაძე (3), ხაბარაძე (3), ლ. მეღვინაძე (2), თ. ხიზანიშვილი (2), გ. მიქაძე (2), ისიანი (2), კვარაცხელია (2), ბათუმი, გვეგოძე, ბურღული; ბაძეშვილი (2): ბურღული, გ. მიქაძე

სიონი — გაერთიანებული (27): კ. გოდერძიშვილი (5), შაკიაშვილი (5), სიდაშიძი (3), ლაგურაძე ვაგუა (2), ნ. მინდაშვილი (2), ვილკოვი (2), სოლოლაშვილი (2), თ. სამხარაძე (2), მოსეშვილი, ყიფიანი, დ. სვანაძე, დიმიტრიშვილი

დილა — გაერთიანებული (23): რ. ხაჭაპურიძე (4), შატკიშვილი (3), ვ. გონაშვილი (2), ვ. ჩიტია (2), ვაგინიძე (2), აკოფიანი (2), ლომიძე (2), თაყაძე (2), სოლოლაშვილი, ბ. ჩიტია, ფეხუაშვილი, სულთანიშვილი; ბაძეშვილი (1): შატკიშვილი

სამგურალი — გაერთიანებული (22): ჭელიძე (5), ფრანგიშვილი (3), ფხაკაძე (3), კონხეიძე (2), ი. ხაჭაპურიძე (2), ვოსკანოვი (2), საღილიანი, ზურაბიანი, ჭყონია, ვაგაზაძე, ლ. ქობულაძე; ბაძეშვილი (1): ი. ხაჭაპურიძე

ბათუმი — გაერთიანებული (21): ზ. მეტრეველი (5), გ. ლურსმანაშვილი (3), გვეგოძე (2), მუშლაძე (2), კ. მეტრეველი (2), ხურციძე (2), გ. დოლიძე, დარსაძე, ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, მ. ვინჯარაძე

ვიტ ჯორჯია — გაერთიანებული (21): ვიორგი ქორიძე (4), ყიფიანი (3), ვ. მუჯირი (3), დ. დოლიძე (2), ზ. გვახავა (2), ა. ბოკერია, დიმიტრიშვილი, რ. გოციონიძე, ბარქაია, კოტორაშვილი, საჯაია, ქეციანიძე; ბაძეშვილი (3): ბარქაია, კოტორაშვილი, დ. დოლიძე

გორაკი — გაერთიანებული (20): თვალაშვილი (2), მ. ქორიძე (2), მ. სახვაძე (2), ლ. ალადაშვილი (2), ბეჭუაშვილი (2), ინასარიძე (2), ბერიძე (2), გაბელაია, კიტეიშვილი, ა. ბუკია, პატარიძე, ვ. ხიზანიშვილი, მჭედლიძე; ბაძეშვილი (1): მჭედლიძე

მერანი — გაერთიანებული (19): ვიშკარიანი (4), დევიძე (3), ივანიშვილი (2), ხარებავა (2), დავითაშვილი, თოლორდავა, ციციუნიშვილი, ე. ალადაშვილი, როსტომიშვილი, ჭინჯარაძე, ლ. ამბიძე, ბაჯელიძე; ბაძეშვილი (2): ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი

ლოკომოტივი — გაერთიანებული (18): დავითიძე (3), გოციონი (2), პაპავა (2), ხუჭუა (2), დ. გოგოლაძე, ბულუხია, კელელაშვილი, ანჯაფარიძე, ლაღანიძე, შალამბერიძე, ქუთიელი, ტრაპაიძე, ე. გვახალია; ბაძეშვილი (1): ქუთიელი

ბათუმი — გაერთიანებული (17): ზ. არჩვაძე (5), პაპიძე (4), გელა ქორიძე, კობიძე, კანტიძე, ქაცარავა, მაჭუტაძე, თედორაძე, მ. მახარაძე, რომანიძე; ბაძეშვილი (1): პაპიძე

ლოკომოტივი — გაერთიანებული (17): ლ. მიქაძე (4), რუსია (2), ბალაშვილი (2), ქებაძე (2), ჩიხრაძე, გოგიანიშვილი, კაციაშვილი, იაგორაშვილი, ამაშუკელი, მ. ქობულაძე, ასლანაძე; ბაძეშვილი (3): ასლანაძე, რუსია, ლ. მიქაძე

არსენალი — გაერთიანებული (16): ვახტანგ ვაგუა (3), ჩლაიძე (3), თარგამაძე (2), ხოსროშვილი (2), ცოტაძე, დაუშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, ყიფიანი, კუპატაძე; ბაძეშვილი (3): ირემაშვილი, ტარიელაშვილი, ყიფიანი

დინამო — გაერთიანებული (14): გუჩუა (3), ანაბაძე (3), ა. სახვაძე (3), ვაშაქიძე (2), აშვეთია, ალექსიძე, ხიზანიშვილი; ბაძეშვილი (3): ა. სახვაძე (2), კიქნაძე

ტორპედო — გაერთიანებული (14): ხვადაგიანი (4), მეგრულაძე (2), დ. ჯანაშია (2), გოგიაშვილი (2), იონანიძე, შეყრილაძე, თურმანიძე, კვეტეხაძე; ბაძეშვილი (1): ჭანტურია

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	№	
1 დინამო		2:1	4:1	3:0	4:0	3:2	7:1	1:1	11	1	2	38:12	26	34	6	1	0	24:6	18	19	5	0	2	14:6	8	15	1
2 ბათუმი	1:0		0:0	4:0	4:1	2:0	0:0	1:0	6	7	1	15:4	11	25	5	2	0	12:1	11	17	1	5	1	3:3	0	8	2
3 ვიტ ჯორჯია	0:1	0:0		3:0	3:1	1:1	3:1	4:0	6	5	3	20:12	8	23	4	2	1	14:4	10	14	2	3	2	6:8	-2	9	3
4 სიონი	1:3	0:0	0:0		1:0	2:2	2:0	1:0	6	3	5	13:19	-6	21	3	3	1	7:7	0	12	3	0	4	6:14	-8	9	4
5 ლოკომოტივი	1:2	0:0	1:1	0:1		2:1	2:0	2:2	5	3	6	21:19	2	18	2	3	2	8:7	1	9	3	0	4	13:12	1	9	5
6 თბილისი	0:6	1:1	2:1	3:4	0:4		5:2	3:1	3	4	7	21:31	-10	13	3	1	3	14:19	-5	10	0	3	4	7:12	-5	3	6
7 სამგურალი	1:2	0:0	0:1	1:0	0:3	1:0		1:0	3	2	9	9:27	-18	11	3	1	3	4:6	-2	10	0	1	6	5:21	-16	1	7
8 არსენალი	2:0	0:1	1:2	0:1	0:4	1:1	2:1		2	3	9	10:23	-13	9	2	1	4	6:10	-4	7	0	2	5	4:13	-9	2	8



ვის სად გზავნიდნენ

- ა. ღურსუანი (14): თბილისი — ბათუმი, მერანი — თსუ, ხობი — თსუ, ბათუმი — სამგურალი, კოლხეთი — თსუ, დინამო — სიონი, ხობი — კოლხეთი, მერანი — ხობი, კოლხეთი — დილა, ბათუმი — ლოკომოტივი, თსუ — ხობი, ტორპედო — თსუ, თსუ — კოლხეთი, ხობი — იბერია
- ბ. კამუპაშვილი (13): სიონი — თბილისი, არსენალი — დინამო, დილა — კოლხეთი, სამგურალი — სიონი, იბერია — გორდა, სამგურალი — დინამო, თბილისი — სამგურალი, მერანი — იბერია, ბათუმი — თბილისი, თბილისი — არსენალი, ხობი — დილა, ვიტ ჯორჯია — არსენალი, გორდა — თსუ
- შ. ხინგაბაშვილი (13): დილა — თსუ, ლოკომოტივი — სამგურალი, სიონი — ლოკომოტივი, გორდა — დილა, დინამო — ლოკომოტივი, სიონი — ბათუმი, ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი, თსუ — დილა, დილა — ტორპედო, ლოკომოტივი — სიონი, მერანი — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — თბილისი, ბათუმი — სიონი
- ა. ბაჩუკაშვილი (11): ლოკომოტივი — არსენალი, გორდა — ხობი, დილა — ხობი, ბათუმი — არსენალი, ლოკომოტივი — თბილისი, არსენალი — ლოკომოტივი, იბერია — თსუ, ვიტ ჯორჯია — ბათუმი, დინამო — ვიტ ჯორჯია, დინამო — სამგურალი, კოლხეთი — ტორპედო
- ა. მიწეშვილი (11): თსუ — იბერია, ბათუმი — ვიტ ჯორჯია, არსენალი — თბილისი, მერანი — კოლხეთი, დილა — იბერია, თსუ — გორდა, დინამო — ბათუმი, თბილისი — დინამო, არსენალი — სიონი, თბილისი — ლოკომოტივი, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
- ნ. ამირაშვილი (11): იბერია — მერანი, ტორპედო — დილა, ლოკომოტივი — ბათუმი, ხობი — ტორპედო, მერანი — დილა, ვიტ ჯორჯია — სამგურალი, გორდა — კოლხეთი, თსუ — მერანი, გორდა — იბერია, ტორპედო — ხობი, დილა — მერანი
- ბ. შირცხაძე (10): ბათუმი — დინამო, კოლხეთი — გორდა, ტორპედო — მერანი, თბილისი — ვიტ ჯორჯია, ტორპედო — კოლხეთი, თბილისი — სიონი, არსენალი — სამგურალი, ლოკომოტივი — დინამო, მერანი — გორდა, არსენალი — ბათუმი
- მ. ლაცაბიძე (6): სამგურალი — არსენალი, კოლხეთი — იბერია, გორდა — მერანი, ტორპედო — გორდა, სიონი — ვიტ ჯორჯია, სამგურალი — ბათუმი
- კ. შრუაშვილი (6): გორდა — ტორპედო, დინამო — თბილისი, დინამო — არსენალი, დილა — გორდა, კოლხეთი — მერანი, სიონი — დინამო
- მ. მიმინოშვილი (4): ვიტ ჯორჯია — დინამო, არსენალი — ვიტ ჯორჯია, იბერია — ხობი, სიონი — სამგურალი
- ნ. პაპუაშვილი (4): ვიტ ჯორჯია — სიონი, თსუ — ტორპედო, ხობი — გორდა, სამგურალი — თბილისი
- ბ. ქარქაძე (3): იბერია — ტორპედო, ტორპედო — იბერია, იბერია — კოლხეთი
- რ. ჩიქვაძე (3): სამგურალი — ვიტ ჯორჯია, სიონი — არსენალი, სამგურალი — ლოკომოტივი
- მ. იაშვილი (1): კოლხეთი — ხობი
- ჯ. თანანაშვილი (1): ხობი — მერანი

დასწრებ პერიოდში

გუნდი	ქალაქი	სტადიონი	1 სრე	II სრე	III სრე	IV სრე
ტორპედო	ქუთაისი	ტორპედო	9 500	10 000	19 500	2 785
ბათუმი	ბათუმი	დინამო	11 000	7 500	18 500	2 642
დილა	გორი	ცენტრალური	7 500	6 500	14 000	2 000
სიონი	ბოლნისი	თემურ სტეფანია	7 500	4 200	11 700	1 671
ლოკომოტივი	თბილისი	ეროვნული	4 500	4 400	9 900	1 414
დინამო	თბილისი	ეროვნული	6 500	2 700	9 200	1 314
მერანი	თბილისი	სინათლე	5 000	4 200	9 200	1 314
ხობი	ხობი	კოლხეთი	4 500	4 100	8 600	1 228
არსენალი	თბილისი	ისანი	5 000	3 400	8 400	1 200
სამგურალი	წყალტუბო	26 მაისი	6 000	2 000	8 000	1 142
გორდა	რუსთავი	ფოლადი	6 000	1 500	7 500	1 071
ვიტ ჯორჯია	მცხეთა	არმაზი	3 500	3 900	7 400	1 057
კოლხეთი	ფოთი	ფაზისი	5 000	2 000	7 000	1 000
თბილისი	თბილისი	ეროვნული	2 700	3 900	6 600	942
იბერია	სამტრედია	ეროსი მანჯგალაძე	4 000	1 800	5 800	828
თსუ	მცხეთა	არმაზი	1 800	1 500	3 300	471
სულ			85 00	63 600	147 600	1 326



ბოლნისის „სიონისა“ და ჩემპიონატის ერთგული ქომაგები — „აღა და ფანები“



პირველი ეტაპის ერთ-ერთი ბომბარდირი მიხეილ აშვეთია

ვინ რამდენჯერ იმსაჯა

- ა. შილაბაძე (თბილისი; 13): სამგურალი — ვიტ ჯორჯია, არსენალი — დინამო, დილა — კოლხეთი, ტორპედო — მერანი, დინამო — ლოკომოტივი, სიონი — ბათუმი, ტორპედო — გორდა, სიონი — ვიტ ჯორჯია, კოლხეთი — დილა, თბილისი — არსენალი, ხობი — დილა, ბათუმი — სიონი, ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
- ს. კვარაცხელია (ზუგდიდი; 11): ბათუმი — დინამო, მერანი — თსუ, სამგურალი — სიონი, ტორპედო — კოლხეთი, თსუ — ტორპედო, დინამო — ბათუმი, გორდა — კოლხეთი, მერანი — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — თბილისი, იბერია — დილა, სიონი — დინამო
- ა. მუშკოვი (თბილისი; 11): კოლხეთი — გორდა, კოლხეთი — იბერია, თბილისი — ვიტ ჯორჯია, ხობი — ტორპედო, სამგურალი — ლოკომოტივი, ტორპედო — იბერია, ბათუმი — ლოკომოტივი, არსენალი — სიონი, თსუ — კოლხეთი, მერანი — გორდა, ხობი — იბერია
- ს. პახინი (თბილისი; 9): ხობი — მერანი, გორდა — დილა, მერანი — კოლხეთი, არსენალი — ვიტ ჯორჯია, ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი, თსუ — დილა, არსენალი — სამგურალი, კოლხეთი — მერანი, ტორპედო — ხობი
- ა. პრიტაშვილი (თბილისი; 8): დილა — თსუ, ვიტ ჯორჯია — სიონი, არსენალი — თბილისი, გორდა — მერანი, მერანი — იბერია, თსუ — ხობი, თბილისი — ლოკომოტივი, გორდა — თსუ
- ა. მაღალურაძე (თბილისი; 8): ტორპედო — დილა, სიონი — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია — დინამო, დილა — ხობი, იბერია — ხობი, ლოკომოტივი — თბილისი, თსუ — მერანი, დინამო — ვიტ ჯორჯია
- ლ. შანიშვილი (თბილისი; 8): იბერია — მერანი, თბილისი — ბათუმი, ბათუმი — სამგურალი, დინამო — სიონი, არსენალი — ლოკომოტივი, ლოკომოტივი — სიონი, სამგურალი — ბათუმი, ვიტ ჯორჯია — არსენალი
- ბ. ასპაროვლი (ქარელი; 7): გორდა — ტორპედო, სამგურალი — არსენალი, სიონი — არსენალი, სამგურალი — დინამო, ხობი — კოლხეთი, ბათუმი — თბილისი, ლოკომოტივი — დინამო
- ა. შალაგაძე (ქუთაისი; 7): ლოკომოტივი — არსენალი, ბათუმი — ვიტ ჯორჯია, კოლხეთი — თსუ, თბილისი — სამგურალი, მერანი — დილა, ხობი — გორდა, არსენალი — ბათუმი
- მ. ლაცაბიძე (სურამი; 6): სიონი — თბილისი, გორდა — ხობი, ლოკომოტივი — ბათუმი, დილა — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — ბათუმი, გორდა — იბერია
- დ. სანაია (სოხუმი; 6): კოლხეთი — ხობი, იბერია — ტორპედო, თბილისი — დინამო, იბერია — კოლხეთი, ტორპედო — თსუ, დინამო — სამგურალი
- მ. გუგუაძე (ლაჩხუთი; 5): ლოკომოტივი — სამგურალი, დინამო — თბილისი, იბერია — თსუ, დილა — გორდა, დილა — მერანი
- ა. ორდინიძე (ონი; 5): ხობი — თსუ, თბილისი — სიონი, მერანი — ხობი, სიონი — სამგურალი, სამგურალი — თბილისი
- ზ. ანიაშვილი (გორი; 4): თსუ — გორდა, ვიტ ჯორჯია — სამგურალი, დინამო — არსენალი, კოლხეთი — ტორპედო
- კ. ლობჯინაძე (ქუთაისი; 3): თსუ — იბერია, იბერია — გორდა, ბათუმი — არსენალი
- კ. მუსხი (ზუგდიდი; 1): დილა — იბერია

№	1	2	3	4	5	6	7	8	მ	ფ	ც	ბ	ს	ქ	მ	ფ	ც	ბ	ს	ქ	№	
1 ტორპედო		4:1	2:2	5:0	1:0	3:0	3:1	0:0	11	3	0	33:5	28	36	5	2	0	18:4	14	17	6	1
2 კოლხეთი	0:0		3:0	1:0	2:0	1:0	1:0	2:3	8	1	5	19:15	4	25	5	1	1	10:3	7	16	3	0
3 დილა	0:5	3:0		2:0	1:2	1:1	3:2	1:0	6	2	6	19:24	-5	20	4	1	2	11:10	1	13	2	1
4 იბერია	0:3	1:0	2:1		1:0	0:1	1:1	2:1	5	3	6	9:20	-11	18	4	1	2	7:7	0	13	1	2
5 გორდა	0:2	0:1	2:0	4:0		3:1	0:0	4:1	5	1	8	17:18	-1	16	4	1	2	13:5	8	13	1	0
6 თსუ	0:2	3:2	0:1	1:1	1:0		0:2	4:1	4	4	6	13:18	-5	16	3	1	3	9:9	0	10	1	3
7 მერანი	0:1	1:2	3:1	0:0	2:1	1:1		0:0	3	6	5	14:15	-1	15	2	3	2	7:6	1	9	1	3
8 ხობი	1:2	0:3	2:3	0:1	5:1	0:0	1:1		2	4	8	15:24	-9	10	1	2	4	9:11	-2	5	1	2

ბელგიელმა ველომბოლმა ფრანკ ვანდენბრუკმა განაცხადა...

პანდენბრუკმა კოფიდისი მიატოვა ერთი ბოლიში რა გახდა?

კრად დასჯა ნამდვილად აღმაშფოთებელია. იგი თურმე კარგა ხანი ელოდა თავისი დამკვირვებლებისგან პატარა ბოლის მაინც...



ფრანკ ვანდენბრუკი

უმდიდრესმა იტალიურმა „მაკე-ზინდი, რომელმაც წლეულს „ლომბარდიის ტურში“ იმარჯვა, იტალიური „ლამპრედან“ წავიდა...

იგი გერმანულ „ტელეკომს“ შეუერთდება, სადაც 35 წლის დაწინილი ბიარნ რიისის ადგილს დაიკავებს...

გადავიდა. ლეფკერის რიბინისა და კრეკს მომავალი კი ჯერ გაურკვეველია. თუმცა ზოგიერთი სამედიცინო კარგობა აცხადებს...

ბთსოვთ, ჩართოთ შირი! შენაჰანის გოლი მხოლოდ ვიდეო დანახა

- 1 დეკემბერი
დებროიტი — სან ხოსე 4:2 (2:0 0:2 2:0)
1:0 ლარიონოვი 5'53 (6); 2:0 შენაჰანი 14'30 (12); 2:1 სტურტი 33'54 (3); 2:2 ნოლანი 37'29 (16); 3:2 შენაჰანი 44'53 (13); 4:2 ლიდსტრომი 53'49 (5)
მონრალი — დალასი 2:3 (2:1 0:0 0:2)
0:1 ლიანტოვი 6'26 (2); 1:1 ფოლტოვი 12'15 (6); 2:1 ზურბუსი 15'02 (6); 2:2 პალი 54'28 (10); 2:3 კინი 55'13 (4)
ნიუ ჯერსი — რიფსპორტი 3:2 (3:1 0:1 0:0)
1:0 შარიფიანოვი 2'29 (3); 2:0 მაკეი 7'25 (6); 3:0 სიკორა 16'55 (6); 3:1 იუნსონი 17'57 (3); 3:2 იუნსონი 22'00 (4)
დამონტონი — კოლორადო 3:1 (1:1 1:0 1:0)
0:1 დროვი 13'08 (7); 1:1 სმიტი 15'33 (8); 2:1 სელივანოვი 85'14 (18); 3:1 გერინი 59'45 (3)
ანაჰანი — ტამპა 2:4 (2:1 0:1 0:2)
0:1 კესა 1'40 (2); 1:1 კარა 6'17 (12); 2:1 ლეკლერკი 11'40 (5); 2:2 კესა 36'02 (3); 2:3 ტაკერი 57'15 (4); 2:4 ტაკერი 59'29 (5)

არბიტრებს არც კი უფიქრიათ, გოლი გავიდაო. მხოლოდ ორი წუთის შემდეგ ვიდეოფირის ნახვისას დადგინდა სიმართლე...

ოთხმატჩიანი მომგებიანი სერიის შემდეგ წაგო მონრეალმა, თუმცა ეს საცხებობ დაიძაბა. მართალია, ლიტველი დაინიუს ზურბუსის, ლატვიელი სერგეი ფოლტოვისა და რუსი ოლეგ პეტროვის სამეულის, აგრეთვე ჟოზე ტეოლორის ძალისხმევით კანადელები კარგა ხანს წინ იყვნენ...

ასევე მინიმალური სხვაობით დამარცხდა რეინჯერსი, რამაც კვლავ წამოჭრა გუნდის მწვრთნელის — ჯონ მაკლერის დათხოვნის საკითხი. გამუდმებული წარუმატებლობით დათრგუნული ნიუიორკელები ამჯერად შერცხვენას გადაურჩნენ...

სამხმელეთის დამარცხდა რეინჯერსი, რამაც კვლავ წამოჭრა გუნდის მწვრთნელის — ჯონ მაკლერის დათხოვნის საკითხი. გამუდმებული წარუმატებლობით დათრგუნული ნიუიორკელები ამჯერად შერცხვენას გადაურჩნენ...



ნიუჯერსელი კლოდ ლემიეს შეტვის შემდეგ რეინჯერსელი მაიკ რიხტერის კარი ბეწვზე გაღარჩა

თვის მოთაბაზა

იაროშირ იაბრი (აიტსუბუგო)
ჩვენი ღრმა რწმენით, რაკი პიტსბურგმა ოქტომბერში სხვა გუნდებთან შედარებით ნაკლები ითამაშა...



ბრწყინვალე ჩეხი ფორვარდი ნლეულს დიდებულად ასპარეზობს, ლამის ყველა მატჩში ავსებს გოლებისა და პასების მარაგს...


თვის საუკეთესო იქმნაული

ტრევორ კიდი (ფლორიდა, 1); ერიკ დეჟარდენი (ფილადელფია, 1) — რომ ბლეიკი (ლოს ანჯელესი, 2); ჯერემი რენიკი (ფინიქსი, 1) — იაროშირ იაბრი (პიტსბურგი, 2) — ალექსანდრ სელივანოვი (ედმონტონი, 1)

თვის ახალბედა

სკოტ გომესი (ნიუ ჯერსი)

ნიუ ჯერსის მესვეურები ვერც კი წარმოიდგენდნენ, შარშანდელ დრაფტზე რა ძვირფასი შენაძენი შეიმატეს. პირველ რაუნდში ხომ მათ ბოლო, 26-ე ნომერი ხვდათ ნილად იმ დროს, როცა თითქმის ყველა მომავალი ვარსკვლავი უკვე აყვანილი იყო...



ნორჩი უკვე მომწიფებული, განვრთნილი ოსტატის შთაბეჭდილებას ტოვებს. 26 ქულით ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მეთხუთმეტეა, ხოლო ასისტენტთა შორის 21 პასით (!) მესამე ადგილზე იმყოფება...

თვის საუკეთესო იქმნაული

მარტინ ბირონი (ბუფალო, 1); ბრედ სტიუარტი (სან ხოსე, 2) — ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი, 1); მაქსიმ აფინოგენოვი (ბუფალო, 1) — სკოტ გომესი (ნიუ ჯერსი, 2) — მაიკ იორკი (რეინჯერსი, 1)

REUTERS ბანგკოკიდან



დღეობრკელი იყოს მეფე

რბ ბანგკოკი და რა ზეიმი, ამ პარაშუტისტებს რომ უყურებთ, პირდაპირ ვატ პრა კეაუს ტაძრის წინ დაეშენენ ტალიანდის მეფის ბუმბულ ადულიადეს დაბადების დღის აღსანიშნავად. პარაშუტისტი სულ 572 იყო, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია, მონარქი კი 72 წლისა მოყრილა.

ტაფელა დიადს

ავსტრალიაში დიდი და მრავლისმეტყველი გამოფენა გახსნილა, რომელსაც სახელია "ტაფელერი" უწოდეს. აქ გამოფენილ საუკუნოვან ტაფელათა და სათამაშო კეტთა შორის, რაღა თქმა უნდა სჭარბობს საკრიკეტო იარაღები, ანუ ის ტაფელები, ლეგენდარულ მოკრიკეტებს რომ სჭერიათ. განთქმულ ძველ მოკრიკეტებს ვრეგ "მო" მეთიუზს ნორჩები მიუყვანია იმ ადვილას, სადაც საბატიოდ ასვენია ერთ-ერთი ტაფელა დიად სერ დონალდ ბრედებისა. ეს ტაფელა, რომელიც უკვდავ ტესტში ჯერ კიდევ 1934 წელს უხმარია სერ დონალდს, მისივე მუხეუმიდან უთხოვიათ გამოფენის მომწყობებს. ახალგაზრდობა წარსულის სიდიადემ უნდა ახაზრდოთ, მიანიათ გამომფენებს.



REUTERS სიდნეიდან

მენემის გამოსათხოვარი



ჯერაც არგენტინის პრეზიდენტი კარლოს მენემი მოწინააღმდეგის კარისკენ მიიწევს. ამ კაცის ფეხბურთისადმი სიყვარული საყოველთაოდ ცნობილი. ბოლოსდაბოლოს არგენტინელია. პატნი კი ამხანაგურია, არგენტინის პრეზიდენტის ოფისის ნაკრები სემინარიის სტუდენტთა გუნდს ხვდება. ჩინოფიკთა და მოძაგალ მღვდელთა შეხვედრა ერთგვარად ასრულებს კარლოს მენემის ათწლიან პრეზიდენტობას — 10 დეკემბერს, ფიცს დებს ახალი პრეზიდენტი ფერნანდო დე ლა რუა. მასაც ეყვარება ფეხბურთი.

REUTERS ბუენოს აირესიდან

ბრეის თასის მასპინძლობა

ბრმის თასისა, რქანიც კი ხნავენო. ეს როგორ ეყარებათ კანადელებს ამერიკული ბურთობა. პამილტონში, ონტარიოს გულში ხალხი ეგებება გრეის მომგებ "ტაივერ — ქეთებს" რომლებმაც

დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს "კალგარ სტემპედერსს" და 1986 წლის შემდეგ პირველად გახდნენ კანადის ჩემპიონები ამერიკულ ბურთობაში. კაი მომგებს, კაი დამხვედრი უნდათ, ნათქვამია.




REUTERS პამილტონიდან



REUTERS იოჰანესბურგიდან

იოჰანესბურგიდან

ინგლისის მოკრიკეტთა ნაკრები სამხრეთ აფრიკას სტუმრობს და იქაურ გუნდებს ერთდღიან კრიკეტში ეჯობება. ნაკრების წევრ დარენ გაფს სალანჩო შესვენების ჟამს ლენიზას სტადიონის პატრონები მიდგომიან და სამახსოვრო სურათი გადაუღიათ. ლენიზას საკრიკეტო სტადიონი იოჰანესბურგშია, ინგლისელები კი ასეთ გუნდს "გაუტენგ ინვითიუმენ XI"-ს ეთამაშებენ. სანამ გაფი სურათს იღებს, მისი თანაგუნდელი ალექს ტუდორი გასახდელისკენ მიაბიჯებს, ერთი ამოვიტუნთქო.



სარბიელი
სკორტული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჟორჯიანი
ლიტერატორი ბიკოპი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი შახნაპ ბეჩიაძე
რედაქტორი ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიანაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კოტორიძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კონსტანტინე
გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტა-

ლიანი, ზენა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია,
გიორგი ვაშაყიძე, ვანო ოჭოპირიძე ინფორმაციის რედაქტორი
ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, ვაიოხ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე,
კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი,
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიო-
რები გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე,
მავდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი,
ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ
ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ხაჯაბის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოება მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@iberiapac.ge
ელექტრონული ვებსაიტი
http://www.opentext.org.ge/sarbili